პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 4 თებერვალი 1926 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

25 (1020) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განიების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ. ელხმენი 2—24 განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## გადაუდებელი ამოცანა.

1903 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა საკმაო ნაწილი შემოდგომის გამოწვევის დროს გადარიცხულ იქნა ცვალებად შემადგენლობაში, რომელთა შორის საკმაო რიცხვს შეადგენენ წერა-კითხვის უცოდინარები.

წერა-კითხვის უცოდინარ ცვალებადელებს ამჟამად მიემატა 1904 წელში დაბადებული წერა-კითხვის უცოდინარი ახალგაზრდებიც, რომლებმაც ამ ორი კვირით ადრე დაამთავრეს წვევამდე მზადების გავლა წერტებზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გატარება ზემოაღნიშნულ წლებში დაბადებულ ახალგაზრდათა შორის უნდა მოხდეს აუცილებლად მანამდე, სანამ მოხდებოდეს მათი შეკრება. შეკრების დროს კი წ. კით. უცოდ. მოსპობა შეუძლებელია, მცირე დროისა და ტეხნიკური მიზეზების გამო. უამისოდ კი მომავალში წითელ არმიის ნაწილებსა და წერტებზე შეკრებილ ახალგაზრდათა შორის სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მუშაობის გატარება შეუძლებელი იქნება, და ვერავითარ ნაყოფს ვერ მოგვცემს მანამდე, სანამ მათში არ მოხდება სავსებით წერა-კითხვის უცოდ. ლიკვიდაცია.

გარდა ამისა ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს 1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდათა აღრიცხვა, ჯანმრთელობის შემოწმება და მათი მიწერა მზადების წერტებზე. თვით მეცადინეობის დაწყებამდე ჯერ კიდევ ორ კვირაზე მეტი დარჩა. ცხადია აღნიშნულ წელში დაბადებულ ახალგაზრდათა შორისაც მრავალი არიან წერა-კითხვის არა მცოდნენი, განსაკუთრებით იმ მაზრებში, სადაც წ. კითხვის უცოდინართა რიცხვი საგრძნობია საერთოდ.

ამ საკითხს უდიდესი ყურადღება მიაქცია ჩვენი დივიზიის კონფერენციამ და მიიჩნია ის ერთ-ერთ მთავარ და გადაუდებელ ამოცანად.

ამიტომ ჩვენი მოვალეობაა სასწრაფოდ მოვკიდოთ ხელი ამ საქმის სასურველად ჩატარებას და დაკვრითი წესით ვაწარმოოთ წერა-კითხვის უცოდინარეობასთან ბრძოლა.

ადგილებზე მომუშავე ამხანაგები უნდა დაუკავშირდენ სათანადო ორგანოებს, შეადგინონ სწორი ცნობები წერა-კითხვის უცოდინარ ცვალებადელ წითელ არმიელების და წვევამდელების და მიამაგრონ ისინი მახლობელ სალიკვიდაციო სკოლებზე.

ამით ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ზემოხსენებულ წლებში დაბადებულთა შორის ახლო მომავალში არ დაგვრჩეს წერა-კითხვის არა მცოდნე არც ერთი პირი.

## მეფის ვალების და ახალ კრედიტების საკითხი.

როდესაც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა და გლეხობამ ძლევამოსილად დაასრულა ოქტომბრის გადატრიალება, მთელი ბურჟუაზიული სამყარო ცეცხლით და მახვილით წამოვიდა მის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის ბლოკადა, ინტერვენცია და შიგნით კონტრრევოლიუციის გაძლიერება,—ყოველივე ეს სწარმოებდა უცხოეთის ბურჟუაზიის, პირველ რიგში საფრანგეთის და ინგლისის, მატერიალურ და მორალურ დახმარებით. რათ იბრძოდენ ისინი ეგრე გაშმაგებით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ? პირველ რიგში, თავის, ბურჟუაზიულ კლასის თავდაცვის გრძნობა, რომ საკუთარ ქვეყნებზეც არ გავრცელებულიყო პროლეტარიატის დიქტატურა და მეორე მხრივ ისინი ვერ ურიგდებოდენ მომხდარ ფაქტს, რომ ოქტომბრის გადატრიალებამ გააუქმა მეფის, ძველი, ვალები და უცხოეთის ბურჟუაზიის ქონებას რუსეთში ნაციონალიზაცია (უფასოდ ჩამორთმევა) უყო მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს სასარგებლოდ.

კონტრ-რევოლიუციის და ბლოკადის ხანამ მათთვის ამაოდ განვლო.

საბჭოთა კავშირი გაძლიერდა ეკონომიურად და პოლიტიკურად. მას ანგარიში ყველა სახელმწიფოებმა, თავის სურვილის წინააღმდეგ, უნდა გაუწიოს. ჩვენ, თითქმის, ყველა სახელმწიფოებმა გვიცნეს, მაგრამ ჩვენ და მათ შორის ჯერ კიდევ არ არსებობს სავსებით ნორმალური ურთიერთობა, რაც ძველი ვალების საკითხის მოუგვარებლობის შედეგია. ჩვენ ყველაზე მეტი საფრანგეთის ვალები გვაქვს და სწორედ ეხლა მასთან გვაქვს გაცხოველებული მოლაპარაკება ამ საკითხის მოსაგვარებლად. ამ საკითხმა თავის განვითარებაში რამოდენიმე ხანა განვლო. ეხლა უკვე, როგორც ეს ოთხი-ხუთი წლის წინ იყო, ბრიყვულად ვერავინ მოითხოვს მეფის მთავრობის, ეგრედ წოდებულ სამხედრო ვალებს, რადგან რუსეთის მშრომელმა ხალხმა ის აუნაზღაურა საფრანგეთს იმპერიალისტურ ომში თავის მშრომელ ხალხის უამრავ სისხლით.

რაც შეეხება ომამდე წინა ვალებს საბჭოთა მთავრობა მასზე უარს არ ამბობს, მხოლოდ ეძებს ისეთ პირობებს, რომ შესაძლებელი იქნას მისი გადახდა. ჩვენი მთავრობა წინადადებას აძლევს საფრანგეთს, მოგვცეს ჩვენ ახალი სესხი, რომ ფინანსიურ დახმარებით დაჩქარებით ავაღორძინოთ ჩვენი მრეწველობა, რითაც საშუალება მოგვეცემა ორივე ვალებზე გადავიხადოთ პროცენტები.

ეს ერთად ერთი პირობაა, რომელიც შექმნილ მდგომარეობაში ორივე მხარეს დააკმაყოფილებს, თუ კი ამას მიხვდება საფრანგეთის მთავრობა და იქაური კომერსანტები და ფინანსისტები შესძლებენ ბეცი მესაკუთრის თვალსაზრისის დაძლევას.

ნ.

# ახალი რადიო ამბები

## სოციალისტები ცდილობენ შერყეულ ნიადაგის გამაგრებას.

საფრანგეთის სოციალისტების დაჟინებით საფინანსო კომისია ფიქრობს დაიწყოს მუხლების გარჩევა, რომლებიც აწესებენ პირდაპირ გადასახადებსა და ზომებს გადასახადის აშორების ცდების წინააღმდეგ.

ამრიგად სოციალისტებს სურთ გამოასწორონ თავიანთი მდგომარეობა, ვინაიდან პირდაპირი გადასახადების მიღება საშუალებას მისცემს გამართლება მონახონ არაპირდაპირ გადასახადების ხმის მიცემას, ვითომდა, ხაზინის აუცილებელი საჭიროებისათვის.

## ჩინეთის სახალხო არმიის ხელმძღვანელთა ცირკულიარი

### ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ

ჩან-ძო-ლინის მომხრეებმა ხმები გაავრცელეს, თითქოს სახალხო არმიამ ხელშეკრულება დასდო საბჭოთა კავშირთან. ამ ხმებთან დაკავშირებით პირველი სახალხო არმიის ხელმძღვანელ გენერლებმა გამოაქვეყნეს ცნობები, რომელშიდაც აბათილებენ მათდამი ბრალდებას,

ცირკულიარულ ცნობებში აღნიშნულია, რომ ჩინეთი ჯერ არ მომწიფებულა კომუნიზმისათვის და რომ არც ერთი გონიერი კაცი არ ურჩევს ბოლშევიკური რეჟიმის შემოღებას ჩინეთში. ყოველივე ამას ავრცელებენ სახალხო არმიის მტრები, რომლებიც სულ სხვა, მოღალატურ მიზნებს მისდევენ.

## ტიან-ცზინში ძლიერდება მუშათა მოძრაობა.

ტიან-ცზინში უკანასკნელ დროს საგრძნობლად ძლიერდება მუშათა მოძრაობა. სულ ეხლახან პროფკავშირებში ჩაეწერა 35.000 კაცი. ტიან-ცზინში პროფკავშირთა წევრები—500 მეტი ქალია. დაარსდა ყოველდღიური გაზეთი. ტირაჟი ყოველდღე იზრდება. გაზეთებში თანამშრომლობენ თვითონ მუშები.

## გომინდანის ყრილობის დახურვა.

19 იანვარს დაიხურა გომინდანის (ჩინეთის ეროვნულ—რევოლიუციონური პარტია) ყრილობა.

ყრილობა რეზოლიუციაში ესალმება სახალხო არმიას და მოითხოვს სახალხო მთავრობის შედგენასა და ეროვნულ კრების მოწვევას.

## საბჭოთა კავშირში

### კომკავშირი ქუთაისის მაზრაში.

ქ. ქუთაისში და მაზრაში ახკომკავშირში ითვლება 3.044 წევრი და 482 კანდიდატი, მათ შორის 570 ქალია.

არსებობს სულ 140 უჯრედი. მაზრაში მოწყობილია 12 სემინარი. ქუთაისში მუშაობს 1-ლი კატეგორიის 24 სკოლა, რომლებშიაც მეცადინეობს 744 კაცი და მეორე საფეხურის 16 სკოლა, რომლებშიაც მეცადინეობს 521 მოსწავლე. ვრცელდება „ახალგაზრდა კომუნისტი" 1.000 ცალის რაოდენობით. პიონერთა ორგანიზაციაში ითვლება 6.000-დი წევრი.

### საბჭოთა არჩევნები.

საბჭოთა არჩევნები ფოთში გადაიდო აპრილისთვის. შედგენილია საარჩევნო კომისიები, რომლებიც იმუშავებენ ფოთის 6 რაიონში.

ფართე მასებში ძლიერდება ინტერესი ხელახალი არჩევნებისადმი.

### ახალქალაქის მაზრის აღსადგენად.

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკამ მიმართა შრომისა და თავდაცვის საბჭოს თხოვნით გამოსცეს დახმარება ახალქალაქის მაზრის აღსადგენად, რომელიც დაზარალებულ იქნა სამოქალაქო ომის დროს.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ გაიღო საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს რეზერვის ფონდიდან 100.000 მანეთი ახალქალაქის აღდგენის საქმისთვის.

### აღმშენებლობის გაცხოველება სოფლად.

შორაპნის მაზრის სოფლებში გაცხოველებული აღმშენებლობა სწარმოებს. განსაკუთრებული ენერგიით სწარმოებს მშენებლობა სოფ. რგანში, კლდეთსა და პერევისაში. ხე-ფიცარი საკმაოდ მოიპოვება. ხოლო საგრძნობია დუღაბისა და კრამიტის ნაკლებობა.

### მეურნეობის გასაძლიერებლად.

სენაკის მაზრის აღმასკომმა დაადგინა ააგოს მეტეოროლოგიური (ამინდის გამომკვლევი) სადგური. სარაიონო წერტებზე გაგზავნილ იქნება 5 გუთანი, 5 ფარცხი, 5 სათესი, 5 სალეწი და 1 მარცვლის გამწმენდი.

### ნავთის ნაწარმის გატანა.

იანვრის განმავლობაში ბათომიდან ოსმალეთში გატანილ იქნა 170.356 ფუთი ნავთის სხვადასხვა ნაწარმი.

### ჭრა-კერვის სკოლების მოსაწყობად.

აჭარისტანის მაზრებში ჭრა კერვის სკოლების მოსაწყობად სახალხო კომისართა საბჭომ გადასდო 13.000 მანეთი.

# არმიის მე-4 პარტიული კონფერენცია.

## ანგარიში პარტკომისიის მუშაობის შესახებ

**ამხ. სტელმახის მოხსენება.**

თავის მოხსენებაში სტელმახი ეხება მუშაობის ორ მთავარ განყოფილებას: ჩვენი პარტ-ორგანიზაციის შემადგენლობის, მის ზრდაზე ხელშეწყობის და უარყოფით მოვლენებთან ბრძოლის საკითხებს.

—არმია—ამბობს მომხსენებელი—არის ადგილი, სადაც ჩვენ შეგვიძლია გავაძლიეროთ ჩვენი გავლენა გლეხებზე, მივცეთ სოფელს მდიდარი პროპაგანდისტების და ძირა ორგანოების მუშაკთა კადრი.

იზრდება პარტიის რიგის შემადგენლობა.

პარტიაში მიღებულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა კომკავშირელებია.

პარტიაში მიღების დროს შემჩნეული იყო ერთგვარი სიჩქარე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შეცდომით თითქმის არავინ არ ყოფილა მიღებული.

რაც შეეხება ავტობიოგრაფიების შემოწმებას, რაზედაც ბევრი ლაპარაკი იყო ტფილისის საგარნიზონო კონფერენციაზე, აქ დატოვებულ უნდა იქნას ძველი წესი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შესუსტებულ უნდა იქნას ეს ფორმალობანი.

პარტიაში მიღებისას ყურადღება უნდა მიექცეს ამხანაგის არა მარტო პოლიტიკურ მომზადებას, არამედ მთავარი საკითხი უნდა იყოს მისი ჭეშმარიტი ერთგულება პარტიისადმი.

გადადის რა არანორმალურ მოვლენებზე, ამხ. სტელმახი აღნიშნავს, რომ 1-ნახ. წლის განმავლობაში სხვა და სხვა დანაშაულისათვის პასუხი მოეთხოვა სულ 224 კაცს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღზრდის საკითხს. ყოფა-ცხოვრების საკითხისადმი ხშირად ვერ აქვს ადგილი სადმიდგომას. უნდა გვახსოვდეს რომ მეურნეობის და სოციალისტურ ელემენტებისა ზრდასთან ერთად იზრდება შესაძლებლობა სწორად გადაჭრილ იქნას ყოფა-ცხოვრების საკითხები.

რაც შეეხება ლოთობას, აქ საქმე არა მარტო დანაშაულშია, არამედ ლოთობასთან დაკავშირებულ შედეგებში. ლოთობას დაუზოგავად უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არა აკრძალვით. უნდა შეიქნას ისეთი განწყობილება, პარტიულის მუშაობა და დასვენება, რომ თავისთავად შეუძლებელი გახდეს ლოთობა.

საკითხი ოჯახის შესახებ უფრო ცუდად სდგას ლოთობის საკითხთან შედარებით. ადგილი აქვს დაუშვებელ მოპყრობას ცოლზე, შვილზე, საბჭოთა კანონების აუსრულებლობას მათ მიმართ.

ამ საკითხზე საჭიროა დაფიქრება, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა შორის მუშაობას.

დაწესებულებათა უჯრედების გასინჯვამ დაგვანახა, რომ ზოგიერთი ამხანაგი სუსტად ერკვევა პოლიტიკურ საკითხებში. საჭიროა ყოველ პარტიულს კარგად ესმოდეს პარტიის ამოცანები, მისი ბრძოლა.

გასინჯვამ დაგვანახა აგრეთვე, რომ ზოგიერთ უჯრედში ადგილი აქვს არანორმალურ მოვლენას და ამხანაგები არაფერს ამბობენ უკანასკნელ დრომდის. ასეთი მოვლენებია პარტდისციპლინის დარღვევა, გულაგდებ სამსახური, თანამდებობითი დანაშაული.

ყოველივე ამის წინააღმდეგ პარტკომისია ატარებდა პირველყოვლისა გამაფრთხილებელ აღმზრდელობითი მუშაობას.

საჭიროა უფრო ფართოდ იქნას გაშუქებული პრესაში პარტკომისიის მუშაობა, რათა მუშაობა სავსებით შეთანხმებულ იქნას კ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველოსთან.

—ჩვენი პარტორგანიზაცია,—ამბობს მომხსენებელი დასასრულ,—იზრდება თვისებრივადაც. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ რიგის შემადგენლობა და უკეთ შევისწავლოთ პარტიაში შემავალი ამხანაგები.

# პირველი ქარ. მს. დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია

(გაგრძელება)

წარსულ მუშაობის გამოცდილებამ წამოაყენა საკითხი კომკავშირის ორგანიზატორების სემინარებისა, მათი მომზადების დონის ამაღლების მიზნით. ამ სემინარების საჭიროების შესახებ უნდა იმსჯელოს კონფერენციამ და აღნიშნოს რეზოლიუციაში კომკავშირის მუშაობის ამოცანები.

დისციპლინა კომკავშირში მაშინ განმტკიცდება, როდესაც გაძლიერებული იქნება სათანადო მიმართულებით აღმზრდელობითი მუშაობა და დამნაშავეს დასჯა.

კომკავშირელების გააქტივების საკითხის სწორ გადაჭრისაგან დამოკიდებულია კომკავშირის მთელი მუშაობა. მეტი ანგარიში უნდა მოეთხოვოს უჯრედების მიერ იმ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობას აწარმოებენ კომკავშირში. ამავე დროს ამ მიმაგრებულ ამხანაგებს არ უნდა დაევალოს იმდენი, რომ მათ ვერ შესძლონ ამის შესრულება.

ამხ. თავართქილაძის და ამხ. ხომერიკის მოხსენების შემდეგ იხსნება კამათი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს 6 კაცი.

ამხ. თავართქილაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჭაავა.

კონფ. მიერ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუციები პოლიტგანყოფილების და პარტკომისიის ანგარიშების გარშემო...

ამის შემდეგ პარტ.კონფერენცია გადადის დღის წესრიგის მორიგ საკითხზე,—დივიზიის პარტკომისიის არჩევნებზე.

პარტკომისიაში იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები:

წევრებად:

ლომიძე სერაპიონ, გუჯაბიძე, გოგია, მიქაძე დავით, ჯალაღანია.

კანდიდატებად:

იმნაძე, ზარქუა, ცინცაძე.

დაბოლოს მოხდა დელეგატების არჩევა არმიის პარტ-კონფერენციაზე გასაგზავნად. კონფერენციამ აირჩია 8 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით, სამი კი—სათათბირო ხმით.

ამხ. კვირიკაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ დელეგატები მღერიან „ინტერნაციონალს" და ამით ამთავრებს თავის მუშაობას მეხუთე პარტ-კონფერენცია.

ი. რ.

# პოლიტსამმართველოს საკონფლიქტო კომისიის მუშაობა.

**ამხ. ცელმინის მოხსენება.**

საკონფლიქტო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოდის კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ცელმინი.

პარტიის მე-13 ყრილობის შემდეგ,—ამბობს მომხსენებელი—აღებულ იქნა კურსი პარტკომისიების საშუალებით არმიისა და ფლოტის ყველა პარტორგანიზაციებში მუშაობის გასაძლიერებლად. ამ ჟამად არმიისა და ფლოტის ყველა ნაწილებში მუშაობს პარტკომისიები.

# სამხედრო საქმე.

## კავშირის რა და რა საშუალებას მიმართავს ასეული ბრძოლაში.

როცა ასეული, რომელიც აწარმოებს ბრძოლას, ახლოს იმყოფება მოპირდაპირესთან, კავშირის გაბმა ძნელი ხდება მტრის ცეცხლის გამო. მაგრამ ყოველ შემთხვევაში შეიძლება გაბმულ იქნას ტელეფონის ხაზი ასეულის უფროსამდი, რომელიც იმყოფება რეზერვის ოცეულითან. მაგრამ ეს ცოტაა: არტილერიის ქურვა ხშირად გაუფუჭებს ამ ხაზს. ამიტომ საჭიროა გაყვანილ უნდა იქნას ან რამოდენიმე ხაზი, ან და ხაზთან ერთად გაბმულ იქნას ცოცხალი კავშირი მორბედის საშუალებით.

ასეულის უფროსს ოცეულის უფროსებთან, ტყვიამფრქვევებთან და მეზობელ ასეულის უფროსთან აკავშირებენ მორბედები ან მეშთანგეები. უკანასკნელთ აქვთ ფლაგები, ხოლო ღამით სანათები. დათქმული ნიშნების საშუალებით ისინი გადასცემენ ბრძანებას ან ცნობას. ოცეულის უფროსებს უჭირავთ კავშირი ათეულის უფროსებთან ნაწილობრ ხმით, ხშირად შთანგისა და მორბედების საშუალებით. თუ რომ მოპირდაპირის ცეცხლი იმდენად ძლიერია, რომ ხმები არ ისმის, ხოლო მორბედების მოძრაობა შეუძლებელია, იმ შემთხვევაში მიმართავენ წერილების გადასროლას. გაჰხვევენ წერილს ჩვარში, მიაკრავენ ქვაზე, ყუმბარის ნამტვრევზე, ან წერილს ჩასდებენ განასროლ მასრში და გადაისვრიან დანიშნულებისამებრ.

ათეულის უფროსს თავის ათეულთან უჭირავს კავშირი ხმით. ბრძოლის სხვა და სხვა გარემოება მოითხოვს ხმარებულ იქნას კავშირის ესათუის საშუალება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უკავშიროდ ბრძოლის წარმოება შეუძლებელია და რომ ეს კავშირი უნდა იყოს საიმედო, განუწყვეტელი და ჩქარი. ამიტომაა, რომ აწესებენ კავშირის სხვადასხვა სახეს ერთსა და იმავე დროს. თუ რომ ერთი სახე ვერ იმუშავებს, რჩება მეორე, მესამე და სხვა. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იგივე მნიშვნელოვანი ცნობა იგზავნება განსაზღვრულ წერტზე სხვადასხვა მიმართულებით იმ მოსაზრებით, რომ თუ ერთმა ვერ მიაღწია მიზანს, მეორე მიაღწევს. საზოგადოდ კავშირი მეტად მნიშვნელოვანი პირობაა ყველა ნაწილების და განსაკუთრებით ასეულის ბრძოლის წარმატებისთვის, ვინაიდან უკანასკნელი ყოველთვის უშუალო ბრძოლას აწარმოებს მტერთან.

პ.

# მძიებელ-მზვერავთა მოძრაობის წესი.

მზვერავთა მოძრაობის წესი დამოკიდებულია ადგილმდებარეობასა და ამოცანაზე. ჩვეულებრივად მზვერავი ჯგუფი იყოფა ორ ნაწილად: ბირთვი, რომელსაც ხელმძღვანელობს მზვერავ ჯგუფის უფროსი, და მზვერავები, რომლებიც იგზავნებიან წინ, მარჯვნივ და მარცხნივ. მანძილი მზვერავებ შორის უნდა იყოს ისეთი, რომ მათ შეეძლოთ დანახვა და გაგონება ერთის მხრივ უფროსის, ხოლო მეორეს მხრივ—ერთმანეთის.

მოძრაობის დროს მზვერავთა წყობილება და მათ შორის მანძილი იცვლება ადგილმდებარეობასთან, დღე-ღამის დროსთან და მოპირდაპირემდი მანძილთან შეფარდებით.

მზვერავს უნდა ახსოვდეს, რომ მისი მიზანია არა მშვიდობიანი დაბრუნების უზრუნველყოფა, არამედ მასზე დაკისრებულ ამოცანის ასრულება.

მზვერავი უნდა მიდიოდეს ნაჩვენები გზით ან ზოლით, რომლიდანაც თვითონ მეტს ხედავს და მასთან მტრის თვალსაც მოფარებულია, მაგრამ აქ მას უნდა ახსოვდეს: მისი დანიშნულებაა არა დამალვა, დაფარვა თავის, არამედ—ყველაფრის დანახვა. გზაზე მზვერავი მოძრაობს იშვიათ შემთხვევებში, სახელდობრ: ღამით, ნისლში, როცა მტერს უძნელდება გზის დანახვა.

მტერთან მიახლოებისას მზვერავის მოძრაობა იცვლება. ის გადადის ნახტომებით, გადარბის ერთი სათვალთვალო წერტიდან მეორეზე. ამასთან სარგებლობს ადგილობრივი საგნებით, რომ მოძრაობა, რაც შეიძლება დაჭფაროს. მზვერავები მოძრაობის დროს მუდამ მზად არიან საბრძოლოდ.

მოძრაობის დროს მზვერავმა ზედმიწევნით უნდა გასინჯოს ყველა დახურული ადგილები, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ის შემუსრულ იქნას საფარიდან, მხოლოდ გაშლილ ადგილს მზვერავი გადაირბენს შეუსვენებლად და ჩქარა.

შესასვენებლად მზვერავმა უნდა ამოირჩიოს ისეთი ადგილები, საიდანაც მეტის დანახვა შეიძლება. ასეთი იქნება მეტ შემთხვევაში ამაღლებული ადგილები.

მზვერავთა უფროსი ყოველთვის სცდილობს მოსძებნოს ამაღლებული სათვალთვალო წერტები, საიდანაც ის აწარმოებს თვალთვალს. ამასთან მზვერავთა უფროსი არასდროს არ უნდა გამოჩნდეს იმაზე მეტად, რამდენიც საჭიროა სათვალთვალოდ და ცალკე მზვერავებთან კავშირისათვის.

ი. ... რ.

# ცოტა რამ კედლის გაზეთების შესახებ.

კამათის წესით.

კედლის გაზეთი დიდ სამსახურს გვიწევს წითელ არმიელთა აღზრდის საქმეში და მისი არსებობაც ნაწილებში აუცილებელია. მაგრამ ის სისტემა, რომელიც ეხლა არსებობს კედლის გაზეთის გამოცემისათვის, აუცილებლივ შეცვლილ უნდა იქნას.

ეს არის შემდეგი: წინედ კედლის გაზეთები ნაწილ.ში გამოდიოდა კლუბში ლეგიონის მასშტაბით, სადაც გაშუქებული იყო ასეულების საქმიანობა და მათი ყოფა-ცხოვრება.

გაზეთი მაშინ კარგ დონეზე იდგა და დარაზმული იყო მის გარშემო სამხკორებიც.

მაგრამ ამ ჟამად ნაცვლად ერთი გაზეთისა ნაწილში, ჩვენ ვცემთ 11—12 ცალს გაზეთს ასეულების მასშტაბით. ლეგიონისათვის ეს დიდი მიღწევაა.

ეს ჩვენ დიდ სარგებლობას, გვაძლევს მით, რომ ასეულების აქტივისტები უახლოვდებიან ჩვენს გაზეთს და თანამშრომლობენ შიგ. მთელი სიმძიმე კედლის გაზეთის გამოცემისა გადავიდა ასეულებში.

მაგრამ იცემა კიდევ ბ. კ. ორგანო ლეგიონის კედლის გაზეთი. ჩვენდა უნებლიეთ კითხვა ისმება საჭიროა თუ არა ლეგიონის კედლის გაზეთი? და თუ საჭიროა როგორ გამოვსცეთ ის და ვინ უნდა ღებულობდეს მონაწილეობას ამ კედლის გაზეთში? პასუხი ერთია აქ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ლეგიონის მთელი შემადგენლობა. ეს კი მოუხერხებელი ხდება. ლეგიონი შესდგება ასეულებისაგან და ჩვენ ვიცით, რომ ასეულებში გამოდის ცალკე კედლის გაზეთი და ასეულის სამხკორები და აქტივი მიზიდულია იქ. ლეგიონის გაზეთი რჩება განზე გარიყული და მისი გამოცემა უხდება ორ სამ პირს, მოკლედ ლეგიონის სარედაქციო კოლეგიას. ეს დიდი ნაკლია, ორი-სამი პირისაგან გამოცემული კედლის გაზეთი არ ივარგებს.

აი მაგალითად: რომელიმე კამპანიების დროს გაზეთებს სცემენ ასეულები ცალკე და ლეგიონი ცალკე. მასალები მიდის ასეულის კედლის გაზეთში და ლეგიონის კი უყურადღებოდ რჩება, რადგან სამხკორთა უმრავლესობა იმყოფება ასეულებში.

ამის გამო ლეგიონის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას უხდება წერილების თხოვნა ამხანაგებისაგან. თუ მოსთხოვე სამხკორს კედლის გაზეთის(ლეგიონის)მასალები გიპასუხებთ: „რამდენი წერილები უნდა დავწერო? ჩვენ ვცემთ ცალკე ასეულში კედლის გაზეთს და ვხელმძღვანელობთ მის გამოცემას". ამის შემდეგ იძულებული ხდება ლეგკოლეგია თვითონ შეადგინოს კედლის გაზეთი და სამი ამხანაგის წერილებით გამოსცეს გაზეთი. იგიც არა დანიშნულ დროზე, არამედ მაშინ, როდესაც კომპანიები მოთავდება და კედლის გაზეთის შინაარს მნიშვნელობა ეკარგება.

ეს დიდი დეფექტია. კედ. გაზეთი უნდა იწერებოდეს მასის მიერ და მასა უნდა იყოს დარაზმული მის გარშემო, და მაშინ გაამართლებს ის თავის დანიშნულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი გაზეთის არსებობა ზედმეტია. ჩვენ ფორმალობა და გამოცემის რიცხვი კი არ უნდა გვაინტერესებდეს, არამედ საქმე. ზოგიერთი ამხანაგი დაინტერესებულია იმაში, რომ გაზეთის ნომერი იყოს მრავალი და შინარსი კი არ არის მხედველობაში მიღებული.

ჩვენი აზრით ასეთი გაზეთის გამოცემას სჯობია არ გამოიცეს.

ასეთ მდგომარეობაშია ამ ჟამად ლეგიონის კედლის გაზეთები. აი კიდევ მაგალითი. პირადათ მე მიხდება გამოვცე კედლის გაზეთი ასეულში და ამავე დროს მიხდება გამოვცე, როგორც სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ, ლეგიონის კედლის გაზეთიც. მაგრამ რით, რა საშვალებით? არ ვიცი. უკვე დაღლილი ასეულის კედლის გაზეთის გამოცემაზე მუშაობით, კიდევ უნდა ვწერო წერილები ლეგ. კედლის გაზეთისათვის. ამავე დროს მე, როგორც სამხკორი ვერ დავივიწყებ ჩვენს ორგანოს გაზეთ „წითელ არმიელს".

(გაგრძელება იქნება).

ს. იმნაიშვილი.

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"**

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## მოხსენება მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციებზე.

4-ე ლეგიონი

29 იანვარს შესდგა ლეგიონის 1-ლი კომუჯრედის გაერთიანებული კრება. დაესწრენ ახკომკავშირის წევრები და წითელ არმიელებიც.

აღნიშნული ყრილობის რეზოლიუციები დაწვრილებით გააშუქა და განმარტა ამხ. ნანეიშვილმა. განსაკუთრებით ვრცლად შეეხო ამხანაგი სოფლად მუშაობის შესახებ დადგენილებებს და მიაქცია კრების ყურადღება, რათა ეს დადგენილებები სისწორით იქნეს გატარებული თითეული ჩვენგანის მიერ.

უკანასკნელ საკითხს დიდი ყურადღებით უსმენდენ უპარტიო წითელ არმიელები და იქვე გამოსთქვეს სურვილი, რათა პოლიტხელებმა კიდევ უფრო გაარკვიონ და აუხსნან მათ ამ მუშაობის მნიშვნელობა.

პარტკორი დავ—გაბი.

## გაერთიანებული კრება.

6-ხე ლეგიონი.

30 იანვარს ლეგიონის კლუბის დარბაზში შესდგა, მე-6 ლეგიონის, 1-ლი ლეგიონის, მე-2-რე არტ-ლეგიონის, ცალკე ცხენოსან ესკადრონის და მესანგრე და საკავშირო ასეულების კომ. კავშირის წევრთა გაერთიანებული კრება.

კრებამ მოისმინა მოხსენება 14 პარტყრილობაზე კომკავშირის საკითხის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. პატარაიამ, რომელმაც გააშუქა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით ყრილობის შედეგები და პარტიის მორიგი ამოცანები, კომ. კავშირის მუშაობის გარშემო, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის შენობისათვის. ამხანაგმა დაწვრილებით გაგვაცნო ყველა ის ღონისძიებანი და სამოქმედო გეგმა, რომელიც დაუსახა ყრილობამ ახკომკავშირს. მოხსენებამ დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეთა შორის. შემოვიდა მრავალი შეკითხვები. დასასრულ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც კრება ხაზ გასმით აღნიშნავს ყრილობის მუშაობის მიღწევებს, როგორც ჩვენს რესპუბლიკებში, ისე ჩვენდამი გარშემორტყმულ კაპიტალისტურ ქვეყნების მიმართ. ბოლოს კომ. კავშირის წევრთა შორის ნამდვილი ლენინური აღზრდის და ბოლშევიკური ტრადიციების ღრმად შეთვისების მიზნით, ყრილობის მიერ შემუშავებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს კრება სავსებით იწონებს და ფიცს იძლევა, რომ გაათკეცებული ენერგიით შეუდგება ყრილობის ყველა დადგენილებების შესწავლასა და ცხოვრებაში მის გატარებას.

სამხკორი ალ. თორაძე.

## მოხსენება საბჭოთა არჩევნებზე.

მე-6 ლეგიონის მე-3 ათასეული.

26 იანვარს შესდგა მე-3 ათასეულის ახკომკავშირის ღია კრება. კრებაზე ამხ. ახალკაცის მიერ გაკეთებული იქნა მოხსენება საბჭოთა არჩევნების შესახებ. ამხანაგმა აღნიშნა საბჭოების არჩევნების მოახლოება და შეეხო თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ისე ჩავატაროთ ის, როგორც საჭიროა, რომ არ გავიდენ საბჭოში არა სასურველი ელემენტები.

გამოტანილი იქნა დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ კრება ხელს შეუწყობს საბჭოების არჩევნების გატარებას, და შეეცდება ისეთი პირების გაყვანას, რომლებიც მუშურ-გლეხური ხელისუფლების ინტერესების დამცველებია.

სამხკორი გ. სვანიძე.

## ნაყოფიერი მუშაობა

მე-4 ლეგიონის 3-მე ასეული.

მე-3 ასეულს გახსნილი აქვს სამხრეთ ოსეთში სამი სამხედრო კუთხე, რომლებიც კარგათ მუშაობენ.

ცვალებადლები, წვევამდელები და ადგილობრივი მოსახლეობა ძლიერ დაინტერესებული არიან კუთხეებით, რაც იქედან სჩანს, რომ ყოველ უქმე დღე სამხედრო კუთხეები სავსეა ცვალებადელებით, წვევამდელებით და იქ მიმაგრებული მეთაურები ხალისიანად ატარებენ საუბრებს.

თვით ასეულში ყოველ-კვირაობით გროვდებიან 50-დე ცვალებადელი და წვევამდელები და სწავლობენ მათთან მუშაობა.

ხშირად მოდიან სოფლებიდან ცვალებადელები და თხოულობენ სამხედრო კუთხის გახსნას, რომელსაც ასეული ვერ აკმაყოფილებს საჭირო საშუალებათა უქონლობის გამო.

საერთოდ სამხრეთ ოსეთში გასამხედროების სურვილი დიდია და საჭიროა დროზე მიექცეს ამას ყურადღება რათა, არ ჩაიკლას მოსახლეობის შორის ეს სურვილი.

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია მიმდინარეობს წარმატებით. შეიძლება თამამათ ითქვას, რომ არც-ერთი ცვალებადელი და წვევამდელი არ არ არის დარჩენილი სკოლის გარეთ, აქ კარგათ მუშაობს წ/კ. უც. მებრძოლი კომისია.

საჭიროა ასეულს მიეცეს ტეხნიკური საშუალებანი მუშაობის უფრო ნაყოფიერად წარმოებისათვის.

სამხკორი დანა.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ძვირფასი სტუმარი ჩვენს ნაწილებში.

ამ რამდენიმე დღის წინეთ ჩვენს ნაწილებში გვესტუმრა საკავშირო წითელი არმიის სამხედრო და სატეხნიკო მომარაგების სამმართველოს უფროსი ამხ. ხალეპსკი. კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ნაწილების დათვალიერებამდე მან დაათვალიერა უკრაინისა და ჩრდილო კავკასიაში მდგომი ნაწილები.

მან დაათვალიერა ჩვენი ნაწილებიც, რომლის შემდეგ განაცხადა, რომ ქართულ ნაწილებს სრულიად მიუღწევიათ თავიანთ დანიშნულებისათვის და გამოსთქვა აზრი, რომ სრულებით არავითარი განსხვავება მომზადებაში არ ემჩნევა ქართულ ნაწილებს სხვა რუსული ნაწილებისაგან. ამხ. ხალეპსკიმ დაწვრილებით გამოიკვლია საკითხი ქართული ჯარის სახელმძღვანელოების შესახებ და სთქვა, რომ ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ნაციონალურ ნაწილებს შეეძლოთ თავიანთ ენაზე განვითარება და სამხედრო საქმის კარგად შესწავლა. მან აღუთქვა ჩვენს ნაწილებს, რომ ის გაუწევს სათანადო დახმარებას ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების გამოცემის საქმის მოგვარებას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამხ. ხალეპსკი ჩვენი ნაწილების დათვალიერების შემდეგ გაგვიწევს დახმარებას ამ საკითხების მოგვარებაში.

დ. ე.

## ჩვენი მადლობა წითელი თეატრის მსახიობებს და ადმინისტრაციას.

1-ლი არტლეგიონი.

ამას წინად ჩვენი არტლეგიონის წითელ არმიელები მიწვეული იქნენ წითელ თეატრში პიესა „გაჭირვების ტალკვესის“ საყურებლად. პიესამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე და ყველა მადლობით იხსენიებს წითელი თეატრის ადმინისტრაციასა და მსახიობებს.

კარგი იქნება თეატრის ადმინისტრაცია კიდევ გაგვიხსენებდეს და გვაყურებიებდეს გარიკის „ბასტილიის ალების“ დადგმისთვის. ეს პიესა ჩვენს არმიელებს არ უნახავთ.

წითელ არმიელებისათვის კი მის ნახვას დიდი მნიშვნელობა ექნება.

იმედია თეატრის ადმინისტრაცია ამითაც დაგვაკმაყოფილებს.

სამხკორი ა. არ—ძე.

## ექსკურსია საქსოვ ქარხანაში.

3-ე ლეგიონის 1-ლი ასეული.

31 იანვარს ხსენებული ასეულის წითელ არმიელები წაგვიყვანეს ქუთაისის საქსოვი ქარხნის დასათვალიერებლად.

ქარხანამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. აქ ვნახეთ მრავალი საქსოვი მანქანები, რომელიც ჩვენ სიცოცხლეში არ გვინახა. დაწვრილებით აგვიხსნეს თითეული მათგანის მოხმარება. მუშები იქვე გვაყურებიებდენ თუ როგორ მუშაობდენ მანქანებზე.

მადლობის ღირსია ჩვენი პოლიტხელი, რომელმაც ითავა ექსკურსიის მოწყობა. არა ნაკლები მადლობა ჩვენგან ქარხნის ადმინისტრაციას და მუშებს, რომლებმაც სიხარულით მიგვიღეს და ყველაფერი აგვიხსნეს, ყველაფერს გაგვაცვნეს.

კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდენ ასეთ ექსკურსიებს.

სამხკორი ალ. ხარებაშვილი.

## გაუმჯობესდა წ. არმიელთა კვება.

5-ე ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში კვების საქმე ძალიან გაუმჯობესდა. უკანასკნელად მეტად ნოყიერი და გემრიელი საჭმელი კეთდება 2-რი თავისაგან ყოველდღიურად. წითელ არმიელები კმაყოფილნი არიან ამ მხრივ.

სამნეო ნაწილის უფროსმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს. ამას გარდა ყურადღება მიექცა სამზარეულოსაც, სადაც ზედმიწევნითაა დაცული სისუფთავე. დააქციეს ძველი პლიტა და მის ნაცვლად ააშენეს ახალი, გაცილებით მასზე უკეთესი.

ერთი სიტყვით სამზარეულო სანიმუშოთაა მოწყობილი.

მადლობის ღირსია სამნეო ნაწილის უფროსი, რომელიც ასე ზრუნავს წ. არმიელებისათვის.

სამხკორი ოგანოვი.

## მოგვეცით აბანო.

6-ხე ლეგ. 3-მე ასეული.

ჩვენი ნაწილის 3-მე ასეულის შემადგენლობას დიდი ხანია აბანო არ გვინახავს. ამას გარდა როგორც ასეულის უფროსმა გადმოგვცა ჩვენთვის თითეულზე გადადებული ყოფილა 75 კაპ. აბანოს, სარეცხის და პარიკმახერისათვის. ეს თანხა ჯერაც არ მიგვიღია. უცდით როდის მოგვაქცევენ ყურადღებას ჩვენი მეთაურები.

სამხკორი შ. ლილუაშვილი.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი მოგვეცით ჩვენი ფული.

4-ხე ლეგ. 2-რე ათასეული.

1902 წელში დაბადებულ წითელ არმიელებს გრძელვადიან შვებულებაში წასვლის დროს დაურიგდათ ათასეულის დამხმარე სალაროს ფული, რადგან ჯამაგირებმა ვერ მოუსწროთ თავის დროზე. ეს ფული უნდა დაებრუნებიათ ისევ სალაროსთვის შემდეგში, მაგრამ მას აქეთ აგერ სამი თვე გადის და ამაზე არავის უფიქრია. მივმართედ სამნეო ნაწილის უფროსს, მაგრამ არც ის გვაძლევს პასუხს. დროა დაუბრუნდეს სალაროს თავისი ფული.

ნ. ლიახვისპირელი.

## თელავის სახალხო სახლის გამგე ცუდათ გვეპყრობა,

სამაზ. კომ. წითელ არმიელები.

აღნიშნული სახლის გამგე ძლიერ ცუდათ გვეპყრობა წითელ—არმიელებს. დაგვინახავს თუ არა სალაროსთან შამოგვიბღვერს და დაგვიწყებს ყვირილს რუსულად. არ ვიცით რა დაუშავეთ. ეტყობა ძალიან არ მოსწონს ჩვენი დანახვა.

დროა ყურადღება მიექცეს მის ასეთ საქციელს და გამოასწორონ ის.

წ. არმ. სარჯველაძე.

## წიგნებს ვერ უვლიან, თავის დროზე არ აბრუნებენ.

3-მე ლეგიონი.

ლეგიონის სამკითხველოს საკმაოდ მოეპოება სხვა და სხვა შინაარსის წიგნები, მაგრამ სამწუხაროდ ლეგიონის შემადგენლობა ცოტა უხეშად ეპყრობა წიგნებს. ბიბლიოთეკიდან ვატანთ წიგნებს ამ ამხანაგებს განსაზღვრული დროით, მაგრამ ისინი ამას არ დაგიდევენ და აბრუნებენ 2—3 თვის, და იგიც დიდის ხვეწნისა და გახსენების შემდეგ.

ასას რომ თავი დავანებოთ. წიგნებს ძლიერ ცუდათ ეპყრობიან, ყოველ სტრიქონებში რაღაცას სწერენ, აჭუჭყიანებენ და ხშირად დახეულსაც აბრუნებენ უკან.

ეს არ შეეფერებათ წითელი ჯარის რიგებში მყოფთ, რომელთაც ყოველ დღე ესმით საუბრები წიგნების მნიშვნელობასა და მათი სუფთად შენახვის შესახებ.

კარგი იქნება ლეგიონში მოეწყობოდეს წიგნის უხეშად მოპყრობის გასამართლება.

სამხკორი ბ. იოსელიანი.

## საბჭოთა არჩევნები უკვე დაიწყო

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით, საბჭოთა არჩევნები მთელ საქართველოში უნდა დაწყებულიყო 1 თებერვლიდან. არჩევნები დაიწყო კიდეც, მაგრამ არიან ზოგიერთი რაიონები, სადაც არჩევნები არ დაწყებულა ტეხნიკურ მიზეზების გამო. ყოველ შემთხვევაში არჩევნების საერთო მიმდინარეობას ეს სრულებით არ უშლის ხელს და ჩამორჩენილ ადგილებშიაც არჩევნები დაიწყება ერთი კვირის განმავლობაში. ზოგიერთ რაიონებში არჩევნები დაიწყო 1 თებერვლამდეც.

### ტფილისის მაზრაში.

ტფ. აღმასკომთან არსებულ სამაზრო საარჩევნო კომისიის ცნობით, ტფ. მაზრის რამოდენიმე თემში არჩევნები დაიწყო 30 იანვრიდან. მაგალითად არჩევნები მოხდა მარტყოფის თემის სოფ. საცხენისში. 31 იანვარს არჩევნები ჩატარებულ იქნა სოფ. კალინოვკაში და ახალსოფელში. 1 თებერვალს კი სოფ. პატარა ლილოში და სხ.

მარტყოფის თემში არჩევნები დამთავრდება 15 თებერვალს, 16-ს შესდგება ახლად არჩეულ საბჭოს პირველი სხდომა.

ავჭალის რაიონში არჩევნები დაიწყება 9 თებერვალს. ასევეა განაწილებული ტფ. მაზრის დანარჩენი თემებიც.

### არჩევნების ტეხნიკური მხარე.

რაც შეეხება თვით არჩევნების პრინციპს, ის წელს შეცვლილია და ეს ცვლილება გატარებულია არჩევნებში მონაწილეობის მიღების გასაადვილებლათ და რაც შეიძლება არჩევნებით მეტი უპარტიო მასების დასაინტერესებლად.

თვითეული სოფელი დაყოფილია რამოდენიმე საარჩევნო პუნქტად, ასე რომ გლეხობას აღარ დასჭირდება შორს წასვლა ხმის მისაცემად. თითო თემი დაყოფილია 12—16 პუნქტათ ამრჩეველთა შესაკრებად, ასე რომ თითო პუნქტზე უნდა გამოცხადდეს დაახლოებით 250—300 ამომრჩეველი, რაც გლეხს საშუალებას აძლევს უსათუოდ და უშუალოთ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

რაიონებში დაგზავნილია საარჩევნო ფურცლები, გამოქვეყნებულია არჩევნებში მონაწილეობის მიმღებთა სიები, დაგზავნილი არიან არჩევნების სახელმძღვანელოდ ამხანაგები და სხვ.

## სამხედრო კუთხე

### უფრო კარგი კორესპონდენციები —ჩვენს გაზეთს.

ასეულის კედლის გაზეთებში წამკითხავი შემჩნევს, რომ იქ არის მოთავსებული ასეთი კორესპონდენციები და წერილები, რომლებიც დაიბეჭდებოდა ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელში“.

მაგრამ ასეთი კორესპონდენციები ადგილებზე რჩება და არ სცილდება კედლის გაზეთის საზღვრებს. ასეთი მოვლენა უნდა ჩაითვალოს სამხედროთა მუშაობის ერთ-ერთ ნაკლად.

შეიძლება ზოგიერთი სამხედრო, რომელიც კორესპონდენციას სწერს და აწვდის ადგ. კედლის გაზეთს, ფიქრობს, რომ მან ცუდათ დაწერა, ეშინია, და არ არის დარწმუნებული, რომ მისი კორესპონდენციის გაშვება გაზ. „წითელ არმიელში“ არის შესაძლებელი, ასეთი ფიქრი არის უსაფუძვლო.

როდესაც სამხედრო აწვდის თავის კორესპონდენციებს, როგორც ადგილობრივ, ისე ჩვენს გაზეთს, მაშინ ის ამით ორნაირად გამარჯვებული გამოდის. თავისი ნაწილის კედლის გაზეთის გარდა ის ამით ვალდებული ხდება დაუახლოვდეს ჩვენს სადივიზიო გაზეთსაც, წაიკითხოს ყოველდღიურად და თითონაც შეიქნეს კარგი სამხედრო. ჩვენ ვიცით, რომ ძველი სამხედრო, დიდის ინტერესით ფურცლავს ჩვენს გაზეთს, კითხულობს მას თავიდან ბოლომდე და ეძებს მასში თავის კორესპონდენციას. მით უმეტეს, თავისი კორესპონდენციით უფრო დაინტერესდება ახალი სამხედრო.

ასეთი დაინტერესება კი სამხედროს შეაყვარებს ჩვენს გაზეთს და გახდის მის მუდმივ თანამშრომელს.

ყველას, ვისაც კი უყვარს სამხედროთა საქმე და ვინც დაინტერესებულია იმით, რომ ჩვენი გაზეთის გარშემო თავს იყრიდეს მრავალი სამხედროები და გაზეთის მკითხველები, იმან აუცილებლად უნდა სწეროს და აგზავნოს ჩვენი გაზეთის რედაქციაში კარგი კორესპონდენციები. მხოლოდ ეს განმარტება ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ადგილობრივ კედლის გაზეთს სამხედრომა უნდა მიაწოდოს ცუდი კორესპონდენციები.

ნაწილის სამხედრ-ორგანიზატორის მოვალეობას შეადგენს კარგად გააშუქებიონ სამხედროთა წრეების ხელმძღვანელებს ამ საკითხის მნიშვნელობა თავიანთ წრეებში.

მი.

## პასუხი შეკითხვებზე.

**იოსელიანს.** გვაცნობეთ მწერლის კურსები გაათავეთ თუ არა?

**დაინტერესებულს.** უფ. მეთაურთა სკ. კურსანტებს არ ეძლევათ საოჯახო ულუფა და არც სხვა დახმარება.

**გ. გაბუნიას.** მოითხოვეთ ოქმი და თუ იქ აღმოჩნდა, რომ თქვენი მიზეზით არ დაკარგულა მაზარა, მაშინ მოგეცემათ სხვა.

**ლობჟანიძეს.** მიმართედ თქვენს უფროსს საკითხის გამოსარკვევად.

**ნადიკვსელს.** თუ ტარების ვადა გასული აქვს თქვენს მაზარას, გერგებათ ახალი.

**ქვემეხის უფროსს.** საერთო წესით. როგორც სხვა წ. არმიელებს, მოგეცემათ ტანსაცმელი.

**მახარაძეს.** თუ სკოლაში მიღებული გქონდათ ტანსაცმელი იმ შემთხვევაში ნაწილში არ გერგებათ.

**ლექვეიშვილს.** დედის დასამარხი ფული, როგორც წ. არმიელს, სამხედრო უწყებიდან არ მოგეცემათ. (რევსამხსაბჭოს ბრძანება № 1023—25 წ.)

**დ. ვარდოშვილს.** მიმართედ მე-2 დივიზიის სანიტარულ ნაწილს.

**№-ს.** წვევამდელებთან მეცადინეობის ფული ერგება მეთაურს იმ შემთხვევაში, თუ ის მუდმივ ბინადრობის ადგილიდან დაშორებით მივლინებული იყო სხვაგან.

**ფაჩულიას.** მოკლე ვადიან შვებულებაში შეგიძლიათ წახვიდეთ მხოლოდ განსაკუთრებულ ოჯახურ მიზეზების გამო, რის სათანადო მოწმობა უნდა გქონდეთ ადგილობრივ აღმასკომიდან.

**გლა—ძეს.** მიმართედ სახალხო სასამართლოს.

**გძელიძეს.** მიმართედ ლეგ. უფროსს ექიმს და თუ ავადმყოფად გიცნოთ მას შეუძლია ხელახლად გაგაგზავნოს კომისიაში.

**კუჭუაშვილს.** თუ თქვენმა ექიმმა და კომისიამაც გიცნოთ ჯანმრთელად, სჩანს რომ ავად არ ყოფილხართ. სხვა საშვალება არ არის, თქვენი ავადმყოფობის გამოსარკვევად. უნდა იმსახუროთ.

**კე—ლიას.** მიმართედ თქვენს უფროსს და ის მოგცემთ ახსნა-განმარტებას თქვენი შეკითხვის შესახებ.

**ბაბიჩაძეს.** უნცროს მეთაურმა უნდა იმსახუროს ერთი წელიწადი, შემდეგ შეუძლია წასვლა უვადო შვებულებაში.

**სეფიეთელს.** ჯამაგირს ღებულობთ სწორად, მესამე ხარისხით.

**ჰ.** თქვენი საკითხის შესახებ მიმართედ ლეგიონის უფროსს.

**ალანიას.** გვაცნობეთ რომელ ნაწილში მსახურობთ, უამისოდ არ შეგვიძლია გიპასუხოთ, თუ რამდენი წელი უნდა იმსახუროთ.

**მ—ძეს.** გვარის გამოცვლა შეგიძლიათ „მაჩ“-ის საშუალებით.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**მცურავი ტანკა.**

ამერიკაში გამოიგონეს ახალი ტიპის ტანკა, რომელსაც ხმელეთზე მოძრაობასთან ერთად თამამად შეუძლია წყალში ცურვაც. ტანკას ტანი-კორპუსი ძალიან ჩამოგავს გემის მოყვანილობას. მიწაზე ის მოძრაობს გადამცემი ჯაჭვის საშვალებით, ხოლო წყალზე მისცურავს ისე, როგორც გემი...

ტანკაზე მოთავსებულია 2 მამოძრავებელი თითეული ასი ცხენის ძალით. ამასთანავე ერთად ტანკაზე მოთავსებულია ხუთი ქვემეხი და 20 ტყვიამფრქვევი. ასეთი ტანკა წარმოადგენს ხმელეთზე მოძრავ და წყალზე მცურავ მთელ სიმაგრეს. ასე იარაღდებიან კაპიტალისტური ქვეყნები და ამავე დროს წარბშეუხრელად გაიძახიან მშვიდობიანობის და „ჯაცთა შორის სათნოების“ შესახებ.

**მზადება ჩრდილოეთ პოლიუსზე გადასაფრენად**

ლენინგრადში ჩავიდა იტალიელი პოლკოვნიკი ნობელე, რომელიც შეუდგა ამუნდსენის ჩრდილოეთ პოლიუსზე ხელმეორედ გადაფრენის სამზადისს. ეს გადაფრენა მოხდება იტალიური სამხედრო დირიჟაბლით, რომელიც შესაძლებელია დროებით დაეშვას ლენინგრადში. როგორც ვიცით გასული წლის ზაფხულში ამუდსენი გადაფრინდა პოლიუსისაკენ გიდროპლანებით, რომლებიც არც ისე ხელსაყრელი შეიქნენ უსწორმასწორო ყინულის ველზე გადასაფრენად; ამიტომ მომავალი მგზავრობისათვის მან ირჩია დირიჟაბლი. გადაფრენა მოხდება კუნძულ შპიცბერგენიდან—ჩრდილოეთის პოლიუსი—ალიასკა (ამერიკაში). ამნაირად მის განზრახვას შეადგენს ევროპიდან ამერიკაში გადაფრენა ჩრდილოეთის პოლიუსზე გადავლით.

ჩრდილოეთ პოლიუსსა და ალიასკას შორის მდებარე ადგილი სრულიად გამოურკვეველია ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს იქ. ამუნდსენს განზრახული აქვს შეჩერდეს ზედ პოლიუსზე. ამ გადაფრენაში მონაწილეობას იღებს 16 კაცი.

**ახალი კომეტის აღმოჩენა.**

ჰოლანდიელ ასტრონომმა ვან-ბისბრეკმა აღმოაჩინა აქამდე უცნობი კომეტა (კუდიანი ვარსკვლავი). ახალი კომეტა ამჟამად იმყოფება დიდი დათვის რვილში (ვარსკვლავთა კრებული ცის თაღზე) და მიემართება წვავარ ძაღლის რვილისაკენ (ესეც ვარსკვლავთა კრებულია). კომეტები იშვიათად ჩნდებიან ცის თაღზე. ისინი თავისი მოძრაობის გამო სტოვებენ სივრცეში კუდის მაგვარ შუქს.

ჯერჯერობით ასეთი ვარსკვლავების ბუნება გამურკვეველია. მეცნიერებამ ჯერ კიდევ არ იცის თუ რისგან შესდგებიან ისინი. ბევრი ამბობს, რომ ისინი მთლიანად წარმოადგენენ გაზის ნაირ სხეულს, ბევრი იმ აზრისაცაა, რომ ისინი მაგარი სხეულები არიან, როგორც დედამიწა და აქედან დაიბადა სხვათა შორის შიში იმის შესახებ, რომ შეიძლება რომელიმე მათგან დედამიწასთან მოახლოების დროს დაეტაკოს (კუდით მაინც) დედამიწას და დადგება წამი ჩვენი პლანეტის აღსასრულისო.

## უცხოეთის არმიებში

**ახალი საჰაერო გოლიათები.**

**ყუმბარმზიდავები.**

ამერიკულ არმიის განკარგულებაში ამ ჟამად იმყოფება ისეთი უზარმაზარი ყუმბარმზიდავი, რომელსაც დაუსვენებლივ შეუძლია 65 ფუთი ყუმბარებით გადაფრინდეს ნიუიორკიდან პარიზში. ამ ჟამად კიდევ ამზადებენ ისეთ ყუმბარმზიდავს, რომელზედაც მოთავსებული იქნება 800 ცხენის ძალიანი მამოძრავებლები, შეეძლება 150 ფუთი ყუმბარების წაღება და საათში გაივლის 200 ვერს მანძილს. 10 ასეთი ყუმბარმზიდავი ისეთი საშიში ძალაა, რომ მათ აირიანი ყუმბარების საშვალებით შეუძლიათ მთელი ბერლინი (გერმანიაში) ისე გაანადგურონ, რომ სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ დარჩეს იქ.

**გამანადგურებლები.**

საფრანგეთის არმიისათვის მზადდება „ბრეგეს“ სისტემის გამანადგურებლების მთელი რიგი. თითეული მათგანი შეიარაღებული იქნება შვიდ-შვიდი ტყვიამფრქვევით, საათში გადიან 235 ვერსს და ძლიერ სწრაფად თითქმის თვალის დახამხამებაში ძალუძს 7 ვერსის სიმაღლეზე აფრენა. შვიდივე ტყვიამფრქვევს მართავს ჰაეროპლანზე 1—2 კაცი. მათ შეუძლია ყოველი მხრიდან ნიშანში ამოღება და ერთ და იმავე დროს სხვა და სხვა მიმართულებით. ასე რომ მოწინააღმდეგე ვერაფრით ვერ მოახერხებს თავდასხმის მოწყობას ჰაეროპლანზე.

**აი რა ხდება პანების არმიაში.**

პოლონეთის სეიმის (პარლამენტი) ერთერთ სხდომაზე მოხსენებას აკეთებდა პოლონეთის სამხედრო მინისტრი არმიის შესახებ. საყურადღებოა ის შეკითხვები, რომლებიც მისცეს დეპუტატებმა მინისტრს და რომლებიც სრულიად ააშკარავებენ არმიაში არსებულ უთავბოლობას. აი ისინი:

— მართალია თუ არა, რომ ჩვენს სამხედრო შტაბში მუშაობს 1.000 ოფიცერი იმ დროს, როდესაც სხვისი არმიები უფრო ნაკლები რიცხვით კმაყოფილდებიან?

— მართალია თუ არა, რომ ერთი ცხენის აქიმობა ჯდება 6000 ოქრო?

— მართალია თუ არა, რომ ერთი ავტომობილის შეკეთება სამხედრო სახელოსნოებში უფრო მეტი ჯდება, ვინემ ახალის შეძენა?

— მართალია თუ არა, რომ $2^1/_2$ პური სამხედრო დუქნებში 60 გროში ღირს და კერძოში კი—30 გროში?

სამწუხაროა, რომ პოლონელმა მუშამ ძალიან ცოტა იცის ასეთი „წესიერების“ შესახებ. მაგრამ თუ გაიგეს, მოითხოვენ სასტიკ გამოძიებას.

**ესეც იუბილეა.**

ოფიცრების საკრებულოში (ქ. ბელგრადი. სამხრეთ სლავია) ოფიცერთა კრებაზე დღესასწაულის დროს, რომელიც მოწყობილი იქნა გენერალ ვრანგელის პირველი ნაწილების შესვლის აღსანიშნავად სამხრეთ სლავიის ტერიტორიაზე ვრანგელი გამოვიდა საზეიმო სიტყვით და აღნიშნა, რომ მისი არმია მთლიანად გადასც[...] მან „მისი უდიდებულესობის“ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის გან[...] კარგულებაში და რომ ის, გე[...] ნერალი ვრანგელი დარწმუნებულია, რომ მას კიდევ მოუწევს დადგეს თავისი რაზმების სათავეში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც სჩანს ძალიან კარ[...] ხასიათზეა გენერალი ვრანგელ[...] რა გაეწყობა, მობრძანდით ბ[...] ტონო ვრანგელო, თუ მარ[...] ლა გყავთ სახელოვანი არმი[...] მაგრამ ვეჭვობთ რომ ეს ასეა[...]

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 დივიზიის მე-6 ლეგიონის ბიურო კოლექტივ[...] შემოტანილი აქვთ განცხადებები, ა. ლეგიონის ოც. მეთ. [...] წ. არმიელებს კომპარტიის კანდიდატებათ მიღების შ[...] სახებ.

1. თავაძე ვარლამ მიხ.-ძეს (მცხ. ზუგ. მაზ. ს. ქვალო[...] ოც. მეთ.); 2. ჯაიანი ალექსანდრე ილიას-ძეს (ოც. მეთ. [...] ქ. თბილისი); 3. ჯაფარიძე ლეონიდ ივანესძეს (მცხ. რა[...] მაზ. ქ- ონი.); 4. ფეიქრიშვილი გიორგი დავითისძეს (წ. არ[...] მცხ. დუშეთის მაზ. სოფ. ქილურტში); 5. კაპეიკიან პეტრე [...] ხეილისძეს (წ. არმ. მცხ. ქ. თელავში); 6. როფაქიძე გრიგო[...] ივანესძეს (წ. არ. მცხ. სენაკის მაზ. სოფ. შხეფში). 7. ფო[...] ხიშვილი გიორგი ევტიხისძეს (ათისთავი მცხ. ოზურგეთის მ[...] სოფ. ხიდისთავში); 8. ლობილაძე პიმენ ისიდორესძეს (წ. [...] მცხ. რაჭის მაზ. სოფ. ძირაგეულში); 9. ლობჯანიძე ბესარ[...] ონ გრიგორისძეს (წ. არ. მცხ. რაჭის მაზ. სოფ. ღებში; [...] ჰელიძე გრიგორ ბეგლარის ძეს (წ. არმ. მცხ. რაჭის მაზ. [...] ჭელიადელეში).

ბ. კოლექტივი გთხოვთ თუ ვინმეს რაიმე საწი[...] აღმდეგო გაქვთ აღნიშნულ ამხანაგებზე გვაცნობეთ წერილ[...] ან დეპეშით შემდეგი მისამართით: კახეთის ქუჩა № 16 მე[...] ლეგ. ბ. კოლექტივის მდივანს.

## ჩვენი ფოსტა

**ამხ. ჭოჭუას.** (მე-6 ლეგ.). თქვენი კორესპონდენცია შე[...] შესახებ გადაეგზავნა ლეგ. სამხედრო კომისარს.

**ამხ. შ. ხონელიძეს.** (მე-4 ლეგ.). სამხედრო კუთხეების შე[...] სახებ თქვენი კორესპონდენცია ერთხელ უკვე დაიბე[...] და. მეორედ აღარ გავა.

**ამხ. ა. იმერლიშვილს.** (მე-4 ლეგ.). თქვენი წერილი კამ[...] ნიის შესახებ დაგვიანებულად მივიღეთ. არ გავა.

**ამხ. ვ. თავაძეს.** (მე-4 ლეგ.). თქვენი კორესპონდენც[...] შურდულის საპასუხოდ დაუსაბუთებელია. არ გავა.

**ამხ. რევიშვილს.** (მე-2 ლეგ.). თქვენი კორესპონდენც[...] „წითელარმიელის ფიქრები“ გამოუსადეგარია. სწერ[...] ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. ახალწვეულს.** (მე-2 ლეგ.). თქვენი კორესპონდენც[...] 29 იანვარს მომხდარ უწესოების შესახებ გადაეგზა[...] ლეგიონის სამხედრო კომისარს საქმის გამოსარკვევად[...]

**ამხ. ბლიკვაძეს.** (მე-2 ლეგ.). წერილი „ასეთი ფერშა[...] განა დასაშვებია ლეგიონში?“ გადაეგზავნა ლეგიონ[...] თავსა და კომისარს.

**ამხ. ჩვენს.** (მეთაურთა სკოლა). ლექსი „სამი თარიღი“ დაიბეჭდება.

**ამხ. ოგანოვს.** (მე-5 ლეგ.). კორესპონდენცია პარტ[...] რებაზე ძლიერ დაგვიანებით მივიღეთ. არ გავა.

**ამხ. ელიზბარიშვილს.** წერტის შესახებ წერილი უშინაარსო[...] არ დაიბეჭდება.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი